საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 25 მარტი, 2020 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/02

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ხელოვნების უნივერსიტეტის მისიაა:

- უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- რეგიონში[1] დაიკავოს კულტურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში/სფეროებში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ადგილი და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას.“

2. გადაწყვეყილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი